

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ბრენდ ჰაუსი“

ს /კ 448391829

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

შპს „ბრენდ ჰაუსი“

ფინანსური ანგარიშგება

ს ა რ ზ ე ვ ი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	გვერდი 3
მოგება-ზარალი და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები	7-11

შპს „ბრენდ ჰაუსი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით.

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი
აქტივები			
ფული და ფული ეკვივალენტები	397 403	268 774	120 585
სავაჭრო მოთხოვნები	602 055	100 105	15 045
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	4 627	4 628	
მარაგები	3 624 330	1 951 365	898 586
- მზა პროდუქცია			
- სხვა	3 624 330	1 951 365	898 586
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები			
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	1 047 813	1 014 861
ინვესტიციები შეიღობილი კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილ ობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები		500	
სულ აქტივები	5 676 227	3 340 233	2 093 757
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	9	1 431 621	1 390 222
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		60 110	60 110
საგადასახადო ვალდებულებები		(135 284)	(144 096)
გამოწმებულ შემოსავალი			
მიმდინარე სასესიო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესიო ვალდებულებები		1 279 678	658 698
მიღებულ გრანტები			
სხვა ვალდებულებები	10		
სულ ვალდებულებები	2 636 125	1 964 934	2 016 041
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')			
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		3 040 102	1 375 299
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	3 040 102	1 375 299	77 716
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5 676 227	3 340 233	2 093 757

ხელმოწერილი პირები

დირექტორი: მამუკა დიასამიძე

30 სექტემბერი, 2019
ბათუმი, საქართველო



ბუღალტერი: მამუკა აბუსელიძე

30 სექტემბერი, 2019
ბათუმი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 7-15 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ბრენდ ჰაუსი

მოგება-ზარალის და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით;

		საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები	3	5 498 742	4 434 656
საქონლის გაყიდვიდან		5 498 742	4 434 656
მომსახურების გაწევიდან			
სამშენებლო ხელშეკრულებიდან			
სხვა			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	4	(3 036 671)	(2 443 920)
საწესი მარაგები		(1 951 365)	(898 586)
მარაგების შესყიდვა		(4 709 636)	(3 496 699)
გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები		3 624 330	1 951 365
საერთო მოგება		2 462 071	1 990 735
სხვა შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება		(297 349)	(243 021)
ცვეთა და ამორტიზაცია	5	(64 233)	(62 812)
საპროცენტო შემოსავალი:			
საპროცენტო ხარჯი:		(81 292)	(94 848)
იჯარის ხარჯი	6	(221 064)	(211 479)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(126 238)	(84 799)
სულ საოპერაციო ხარჯები		(790 175)	(696 959)
საოპერაციო მოგება		1 671 896	1 293 777
გაუქმებულების (ხარჯი)/რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსული ობიექტი (დანაკარგი) სავალ უტო ოპერაციებიდან:	7	(7 093)	3 807
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)			
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		1 664 803	1 297 583
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი)		1 664 803	1 297 583
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადასახადების რევერსი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		1 664 803	1 297 583

ხელმოწერილი პირები

2 დეკემბერი

დირექტორი: მამუკა დიასამიძე

30 სექტემბერი, 2019

ბათუმი, საქართველო



[Signature]

ბუღალტერი: მამუკა აბუსელიძე

30 სექტემბერი, 2019

ბათუმი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 7-15 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „ბრენდ ჰაუსი“
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით;

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1 375 299	77 716
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილდა შესაკუთრებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	1 664 803	1 297 583
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3 040 102	1 375 299

ხელმომწერი პირები

დირექტორი: მამუკა დიასამიძე

30 სექტემბერი, 2019
ბათუმი, საქართველო



ბუღალტერი: მამუკა აბუსელიძე

30 სექტემბერი, 2019
ბათუმი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 7-15 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ბრენდ ჰაუსი“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით;

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(459 899)	433 736
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(32 452)	44 179
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	620 980	(329 727)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	128 629	148 188
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	268 774	120 585
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	397 403	268 774

ხელმომწერი პირები

2 ვაჟაშვილი

დირექტორი: მამუკა დიასამიძე

30 სექტემბერი, 2019
ბათუმი, საქართველო



ბუღალტერი: მამუკა აბუსელიძე

30 სექტემბერი, 2019
ბათუმი, საქართველო

შპს „ბრენდ ჰაუსი“

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. შესავალი ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბრენდ ჰაუსი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (საგადასახადო რეგისტრაციის თარიღი 2014 წლის 20 იანვარი, დღგ-ს გადამხდელია 2014 წლის 23 იანვრიდან). შპს „ბრენდ ჰაუსი“ დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ორგანიზაცია წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც ოპერირებს ბათუმში საქართველოს კონსტიტუციის, კანონისა და კომპანიის წესდების საფუძველზე.

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, ხელვაჩაური, ს.ორთაბათუმი .

ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, ბათუმი, გორგილაძის ქუჩა #82.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს იმპორტირებული საქონლით, კერძოდ ტანსაცმლის და ფეხსაცმლით საცალო და საბითუმო ვაჭრობა საქართველოს ადგილობრივ ბაზარზე.

ორგანიზაციის 100%-იანი წილის მფლობელი არის მამუკა დიასამიძე (პ/ნ 61007004460).

კომპანიის დირექტორი : მამუკა დიასამიძე (პ/ნ 61007004460).

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

კომპანიის მიერ, პირველად მოხდა მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის გამოყენება, ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

კომპანიას გასულ პერიოდებში არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. შესაბამისად საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით. საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს.

3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ქართულ ლარში ("ლარი"). უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი ნაშთების წარმოსადგენად გამოყენებული კურსი:

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
1 აშშ დოლარი (\$)/ლარი (G)	2.6766	2.5922
1 ლირა (TRY)/ლარი (G)	0,5076	0.6874

4. ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს:

1. საანგარიშგებო თარიღისათვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას;
2. მოგება - ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას;
3. კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას;
4. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას;
5. განმარტებით შენიშვნებს, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

5. სააღრიცხვო პრინციპები და მეთოდები

შპს „ბრენდ ჰაუსი“ -ს სააღრიცხვო პოლიტიკა ეფუძნება ბუღალტრული აღრიცხვის ძირითად ორმხრივობის, ფულადი შეფასების, საწარმოს ავტონომიურობის, უწყვეტობის, თვითღირებულების, კონსერვატიზმის, მატერიალურობის, რეალიზაციის, შესაბამისობის პრინციპებს. სააღრიცხვო დოკუმენტაციების წარმოება მიმდინარეობს სტანდარტებით დადგენილი წესების და მოთხოვნების შესაბამისად.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება წარმოებს დარიცხვის მეთოდის საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის საფუძველზე.

6. კონტროლის ურთიერთობები

ორგანიზაციის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

7. მოქმედი სააღრიცხვო პოლიტიკიდან და საქმიანობის სპეციფიკურობიდან გამომდინარე აღრიცხვაში გამოყენებული მეთოდის ცალკეული დეტალი (წესები, ხერხები, ფორმები, პრაქტიკა.) საჭიროებს განმარტებას:

1. აქტივები შეფასებულია ისტორიული (პირვანდელი) ღირებულებით, რაც მოიცავს მის შემენასთან, ტრანსპორტირებასთან, ექსპლუატაციაში შეყვანასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.
2. მოთხოვნები და ვალდებულებები აღირიცხება ცალკეული ობიექტების მიხედვით და იმ თანხით, რომლის გადახდაც უწევს საწარმო/ორგანიზაციას. ამავე ღირებულებით (ანუ პირვანდელი ღირებულებით) ასახულია ის ანგარიშგებაში. სავაჭრო მოთხოვნები და ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ მოთხოვნებს / ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები და ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული

სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯში.

3. საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულებების გამოკლების შემდეგ.
4. შეძენილი სასაქონლო მატერიალური მარაგები აქტივად აღიარდება შეძენის ფაქტიური თვითღირებულებით, რაც მოიცავს მის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, დაკავშირებულ დანახარჯებს. სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღიარდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველაზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო - მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.
5. ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის შემცირებული თვითღირებულების თანხით, ძირითადი საშუალებების თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ყველა დანახარჯებით. როდესაც ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.
ძირითადი საშუალებები, გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის.
6. ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, როცა აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

7. არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთის შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზაცია ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედო განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს

8. ფული და ფულის ექვივალენტები კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები შეადგენს საბანკო და სალაროს ანგარიშებზე განთავსებულ ნაშთებს. კომპანია ანგარიშსწორებას ახდენს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით. უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარების დროს აისახება სამუშაო ვალუტაში, ოპერაციის შესრულების დღისათვის სამუშაო ვალუტასა და მოცემულ უცხოურ ვალუტას შორის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობა ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან ასახულია პერიოდის მოგება-ზარალში.

9. ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიური სარგებლის მიღება

10. სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში როდესაც გაწეული იქნა.

11. იჯარა განიხილება ჩვეულებრივი საოპერაციო იჯარად. გადასახდელი საიჯარო გადასახდელები მოგება ან ზარალში აისახება წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

12. დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები
დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები, გაყიდვების თანამშრომლებისთვის წარმოადგენს ფიქსირებული თანხის და ბონუსის ჯამს. ადმინისტრაციისათვის გასამრჯელოები ფიქსირებულია და არ იცვლება თუ არ მოხდა მათი გასამრჯელოს მატების ან ერთჯერადი წახალისებისათვის თანხის დამატების გადაწყვეტილების მიღება. გასამრჯელოები გადაიხდება ყოველთვიურად. ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით.

13. საგადასახადო ვალდებულებები შპს „ბრენდ ჰაუსი“ ექვემდებარება საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნებს და აღრიცხვა-ანგარიშგების მიზნებისათვის გამოიყენებს საგადასახადო კანონმდებლობის იმ ნორმებს, რომლებიც მოქმედებაშია საანგარიშგებო პერიოდისათვის.

14. მოგების გადასახადი.

რეზიდენტი საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

ა) განაწილებული მოგება;

ბ) გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

გ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;
დ) სსკ კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.
მოგების გადასახადის განაკვეთია 15%.
მოგების გადასახადის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისათვის.
მოგების გადასახადის ხარჯი არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას და ის აღიარდება როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში.

15. დღგ-ის ჩასათვლედი თანხა გაიანგარიშება საანგარიშო პერიოდში საერთო ბრუნვის თანხაში ყოველთვიურად ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციების თანხის ხვედრითი წონის მიხედვით.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდეგ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა კომპანიაში, რომელიც საჭიროებს გაამჟღავნებას.